შპს მარნეულის კოლეჯის ვერიფიკაციის ანგარიში

ანგარიში მომზადებულია ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის - შორენა ალაგარდაშვილის მიერ და წარმოადგენს 2022-2023 სასწავლო წლის მანძილზე ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ვერიფიკაციის მექანიზმის მიხედვით განხორციელებული საქმიანობის შეჯამებას.

ივლისი 2023

მარნეული

შპს მარნეულის კოლეჯის ერთ-ერთი მარეგულირებელი დოკუმენტის - ვერიფიკაციის მექანიზმის საფუძველზე, ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი და წევრები 2022-2023 წლის მანძილზე ახორციელებდნენ ვერიფიკაციის პროცესებს. 2022 წლის 10 ნოემბრის სამუშაო შეხვედრაზე (ოქმი N75) ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელმა სამუშაო ჯგუფის წევრებს გააცნო ვერიფიკაციის მექანიზმი. ის მოვალეობები და პასუხისმგებლობები, რომელიც სამუშაო ჯგუფის წევრებს ეკისრებოდათ ვერიფიკაციის პროცესში. დეტალურად გააცნო ვერიფიკაციის პროცესები და რისკების სისტემა, რომლის საფუძველზეც უნდა მომხდარიყო იმ მოდულების შერჩევა, რომელთაც მოუწევდათ ვერიფიკაციის გავლა. აღნიშნულ შეხვედრაზე ასევე აღინიშნა კოლეჯისთვის მნიშვნელოვანი საკითხის - ქართულის ენის მოდულის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის საჭიროებაც, რაც სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით აისახა ვერიფიკაციის გეგმაში (N76, 10.11.2023).

სამუშაო ჯგუფმა რისკების სისტემიდან შეარჩია სამოქმედო წლისთვის პრიორიტეტული რისკ-ფაქტორები:

- დამწყები მასწავლებლის ფაქტორი (მათ შორის: პირი, რომელსაც მხოლოდ ერთწლიანი გამოცდილება აქვს პროფესიულ მასწავლებლად მუშაობის);
- პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება;
- ქართული ენის მოდული;

მოცემული რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით შეარჩიეს მოდულები, რომელთაც შეეხებოდათ ვერიფიკაციის პროცესი. სულ შეირჩა - 13 მოდული და 2 ქართული ენის მოდული.

ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფი შეხვედრებს ატარებდა ყოველი თვის ბოლოს, თუკი გასულ პერიოდში 2 მოდულზე მეტი ასწრებდა ვერიფიკაციის სამივე ფაზის გავლას. მოქმედ სამუშაო წელს შედგა სულ 5 სამუშაო შეხვედრა, რომლის დროსაც ვერიფიკაციის დასკვნების განხილვის შედეგად ჯგუფის წევრებს შორის მოხდა შეთანხმება გამოლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით. სამუშაო ჯგუფის ყველა

შეხვედრა გაფორმებული არის შესაბამისი ოქმით და ინახება ხარისხის მართვის სამსახურის შიდა დოკუმენტბრუნვის საქაღალდეში შეხვედრებზე განხილული და შეთანხმებული დასკვნებით.

სასწავლო წლის მანძილზე კვარტალურად (სამგზის) ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ მოხდა ვერიფიკაციის პროცესების შესახებ კოლეჯის დირექტორის ინფორმირება მოხსენებითი ბარათის საშუალებით და ეცნობა ყველა ის გარემოება თუ ხარვეზი, რაზეც კონკრეტულ კვარტალში ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფმა იმუშავა და შეთანხმდა.

ვერიფიკაციის დასკვნების განხილვისა და სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებების საფუძველზე, შპს მარნეულის კოლეჯში შეფასების სისტემის გაუმჯობესების მიზნით ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელმა გამოსცა რეკომენდაციები, რაც გასათვალისწინებელია საგანმანათლებლო პროგრამებში შემავალი ყველა მოდულის ფარგლებში სტუდენტების შეფასების პროცესების დროს.

დასკვნა

შპს მარნეულის კოლეჯის ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფი 2020 წლიდან ახორციელებს ვერიფიკაციის პროცესებს, მისი ხელმძღვანელი და შიდა ვერიფიკატორები არიან რა ამავე დროს ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი და სპეციალისტები, ამით მას აძლევს შესაძლებლობას შეაჯამოს ბოლო სამი წლის ვერიფიკაციის პროცესების შედეგები და დაადგინოს ტენდენციები რომელიც გამოიკვეთა გაცემული რეკომენდაციების აღსრულების შედეგად.

ვერიფიკაციის წლიური ანგარიშების და უშუალოდ ვერიფიკაციის პროცესების მიმდინარეობა ნაკარნახევი იყო მიდგომით, რომელიც გულისხმობდა კოლეჯის შეფასების სისტემის ეტაპობრივ გაუმჯობესებას. სწავლა/სწავლების პროცესი არის რა ყველაზე რთული, საპასუხისმგებლო და თანამშრომლობითი პროცესი, პროფესიული განათლების საფეხურისთვის კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ამ პროცესებში

იძენს სტუდენტების შეფასების სისტემა, ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი გასცემდა რეკომენედაციებს იმის და მიხედვით თუ რომელ ეტაპზე რა ტიპის ხარვეზის გამოსწორება იყო ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი და ამავე, დროს რომელი ხარვეზის გამოსწორების შესაძლებლებლობა ჰქონდა კოლეჯს.

სასწავლო პროცესის სამსახურის რეაგირებების გათვალისწინებით და 2022-2023 სამოქმედო წლის ვერიფიკაციის ანგარიშის საფუძველზე იკვეთება დადებითი ტენდენცია და კოლეჯში სტუდენტთა შეფასების სისტემის გაუმჯობესება.

რეკომენდაციები

<u>შეფასების ინსტრუმენტი:</u>

- ე.წ ქუდში აუცილებელია ინფორმაციის ზუსტი ასახვა - შეფასებისთვის საჭირო რესურსების ჩამონათვალი, შეცდომების დაშვების რაოდენობა, მათ შორის პრაქტიკლი კომპონენტისთვის გათვალისწინებული ინსტრუმენტები რომელიც არის შერეული სახის დავალებებით წარმოდგენილი საჭიროა მიეთითოს რომელი დავალების შემთხვევაში სტუდენტმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა კრიტერიუმები და რომელი დავალების დროს აქვს შეცდომების დაშვების ზღვარი.
- თეორიული კომპონენტის საგამოცდო პერიოდი ხშირ შემთხვევაში არ საჭიროებდა მოდულით განსაზღვრული საათების რაოდენობას, რაც იძლევა იმის საფუძველს რომ მოხდეს შეფასებისთვის დათმობილი დროის გადახედვა, მისი გონივრული და საჭიროებების მიხედვით გადანაწილება.
- პრაქტიკული დავალებების შემთხვევაში საჭიროა თითოეულ დავალებას მიეთითოს რა დრო დასჭირდება სტუდენტს მის შესასრულებლად რაც სტუდენტს მისცემს საშუალებას გონივრულად გაანაწილოს მთლიანად საგამოცდო დრო, თავის მხრივ მასწავლებლესაც მიეცემა საგამოცდო დროის მართვის საშუალება.
- შეფასების ინსტრუმენტში მოცემული დავალებები უნდა გამომდინარეობდეს სწავლის შედეგიდან, რომლის მიღწევის შემოწმებასაც ახდენს მასწავლებელი, და დავალებები უნდა ფარავდეს სწავლის შედეგს სრულად, რომ სტუდენტის შეფასება

იყოს ობიექტური და ვალიდური. ამავე დროს, უნდა გადაიხედოს თეორიული მოდულების შეფასების ინსტრუმენტები რადგან ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად: მიკრობიოლოგია) შეფასების ინსტრუმენტში მოცემული დავალებები სტუდენტისგან ერთსადაიმავე ცოდნას ითხოვდა და აფასებდა, ეს კი იწვევს შეფასების ინსტრუმენტის სიდიდეს და სტუდენტის მიმართ არასამართლიან მოთხოვნას.

- კოლეჯის რეგულაციითაც არის გათვალისწინებული და აუცილებელია მისი დაცვა კერძოდ: განმეორებით გამოცდაზე უნდა იქნეს გამოყენებული პირველ გამოცდაზე გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტისგან (თეორიული კომპონენტის) განსხვავებული შეფასების ინსტრუმენტი, რადგან სტუდენტს, რომელიც პირველ გამოცდაზე ვერ მიიღებს სწავლის შედეგების დადასტურებას, მას უფლება აქვს კიდევ ერთხელ განმეორებით გამოცდაზე გავიდეს შედეგების გასაუმჯობესებლად, სწორედ ამიტომ დაუშვებელია იდენტური შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება.

<u>შეფასების პროცესი -</u>

- დაუშვებელია სტუდენტებს შორის დავალებების პასუხებზე საჯარო მსჯელობა და ერთობლივი პასუხები, თუკი დავალების პირობა არ ითვალისწინებს ჯგუფურ სამუშაოს, ან სტუდენტების მიერ რაიმე დამატებითი დამხამრე საშუალების გამოყენება.

<u>მტკიცებულებების და შეფასების უწყისის წარმოება და შენახვა -</u>

- მტკიცებულებების შემოწმება ხშირ შემთხვევაში იყო არაობიექტური. განსხვავებული პასუხების შემთხვევაში სტუდენტები ფასდებოდნენ ერთნაირად, და ერთნაირი პასუხების შემთხვევაში სტუდენტების შეფასება იყო განსხვავებული, ზოგს ჩაუთვალეს დადებითად, ზოგს არა. აუცილებელია გადამოწმდეს მასწავლებლის მიერ შეფასებული სტუდენტის მტკიცებულებები.

- სტუდენტის მტკიცებულებას აუცილებლად უნდა ჰქონდეს სახელი და გვარი მიწერილი, რომ შეიძლებოდეს სტუდენტის იდენტიფიცირება და თან ახლდეს მისივე ხელმოწერა.
- აუცილებელია სტუდენტის მტკიცებულებას ჰქონდეს საგამოცდო თარიღი მითითებული და დაუშვებელია მისი გადასწორება.